



გადასახადების აღმინისტრირების თანამედროვე პრინციპები

ანზორ აბრალავა - ე.მ.დ., სტუ-ს პროფესორი.

a.abralava@gtu.ge

ბიძინა ჯავშანაშვილი - სტუ-ს დოქტორანტი

becka771@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის და სახელმწიფოს ხარჯების (აღმინისტრირების, მაკონტროლებელი ორგანოების ხარჯები) შემცირებისთვის აუცილებელი პოლიტიკური-ეკონომიკური რეფორმა, რაც მდგომარეობს გადასახადების გადამხდელების დაინტერესებაში-გადასახადო ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების კუთხით. მათი აღნიშნული განწყობა გამოიწვევს როგორც სახელმწიფოს შემოსავლების ზრდას, ასევე დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას, რაც შესაძლებლობას მისცემს

მთავრობას მეტი რესურსი მიმართოს სოციალურ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. გადასახადების გადამხდელების დაინტერესებასა-გადასახადო ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მათ გათვითცნობიერებას და დარწმუნებას იმ ჭეშმარიტებაში, რომ გადახდილი გადასახადი უშუალოდ მათ მოხმარდებათ, რაც შეიძლება გამოხატულ იქნას უფლებების დაცვაში, უსაფრთხოებაში, ჯანდაცვაში, სოციალურ და საპენსიო დახმარებაში და ა.შ.

1. გადასახადები როგორც სახელმწიფოს არსებობის მთავარი წყარო

გადასახადების არსის წარმოშობა დაკავშირებულია სახელმწიფოს წარმოშობასთან, რადგან სახელმწიფოს არსებობა მოითხოვს ჯარის, პოლიციის და სხვა რიგი საჯარო სამსახურების ფორმირებას და შემდგომ მის შენახვას, რაც დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან. სწორედ აღნიშნული გახდა საფუძველი სხვადასხვა სახის ბეგარის შემოღების, რითაც დაიბეგრა ქვეყნის მოსახლეობა.

გადასახადები, როგორც სახელმწიფოს მიერ საზოგადოების შემოსავლის გარკვეული ნაწილის ამოღების ფორმა განაპირობა მრავალმა ფაქტორმა, მათ შორის:

- მოსახლეობის განსხვავებულმა სოციალურმა მდგომარეობამ, რაც სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას წარმოშობს, რათა საზოგადოებაში შემოსავლები გადანაწილდეს მეტ-ნაკლებად სამართლიანად;
- სახელმწიფო აპარატის და ინსტიტუტების წარმოქმნამ, რომლებიც დაკავებული არიან მოსახლეობის ინტერესების დაცვით, როგორც ქვეყნის შიგნით და ასევე მის გარეთ;
- სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის დამოუკიდებელი სუბიექტების წარმოშობამ.
- საზოგადოების ურთიერთობაში რიგი სფეროების წახალისება/შეზღუდვის აუცილებლობამ.

გადასახადების არსებობის აუცილებლობაზე არაერთ მსოფლიო დონის, გამოჩენილ ეკონომისტს აქვს ნაშრომი დაწერილი:

ინგლისელმა მეცნიერმა, ეკონომისტმა **ჯონ მეინარდკეინსმა** (XIX-XXს) უდიდესი წვლილი შეიტანა საგადასახადო დაბეგვრის სრულყოფის საქმეში. მან თავის ნაშრომში „დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორია“ დაასაბუთა, რომ გადასახადები ეკონომიკურ მექანიზმთან ერთად წარმოადგენს სოციალურ ურთიერთობათა მარეგულირებელ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც მიმდინარეობს მაკროეკონომიკური წონასწორობისა და სტაბილურობის შენარჩუნება.

ინგლისელმა კლასიკოსმა **დ. რიკარდომ** ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძველები (XIXს). იგი მიუთითებდა, რომ საჭიროა გადასახადები აიკრიბოს ეკონომიკური სუბიექტის ყველა შემოსავლიდან და აღნიშნავდა, რომ მოგების გადასახადის გადიდება იწვევს პროდუქციის ფასის მატებას, რომ გადასახადების შემცირების შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დეფიციტი კერძო ინვესტიციებს არ გამოდევნის იმის გამო, რომ მომხმარებლები საკუთარი დანახარჯის გადიდებას ასტიმულირებენ, რათა მომავალში ხაზინაში უფრო მაღალი გადასახადები შეიტანონ.

ამერიკელი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის, **პ. სამუელსონის** ხარით ქვეყნის ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლი-



ტიკის სწორად შესამდგომი საფუძველზე საგადასახადო პოლიტიკის შედგენა შესაძლებელია ეროვნული ეკონომიკის არა მარტო ზრდა, არამედ დაცემის შემთხვევაში გამოწვეული ნეგატიური პროცესების შერბილება.

2. გადასახადების გადამხდელების დაინტერესება საგადასახადო ვალდებულების ნებაყოფლობითი შესრულებაში

გადასახადების ადმინისტრირების თანამედროვე სისტემის ძირითად მიმართულებას მხოლოდ გადასახადების აკრეფა არ წარმოადგენს, მისი მიზანია, შექმნას გარემო, სადაც გაიზრდება გადასახადის გადამხდელის მზაობა ნებაყოფლობითი შესრულოს საგადასახადო ვალდებულება. ამ კონტექსტში ადმინისტრირების ძირითადი ფუნქციებია:

ა) საგადასახადო ვალდებულებების შესრულების მართვა და სამართალდარღვევათა აღმოფხვრა.

ბ) გადამხდელის მომსახურება და სწავლება, რათა მათ თავიანთი საგადასახადო ვალდებულებები მარტივად, ზედმეტი სირთულეების გარეშე შეასრულონ;

გ) გადასახადის გადამხდელის გათვითცნობიერება და დარწმუნება იმ ფაქტში, რომ გადახდილი გადასახადი მის კეთილდღეობას და მისი უფლებების დაცვას მოხმარდება.

გადასახადების ადმინისტრირების მექანიზმების გამოყენება წარმატებულად მიიჩნევა მაშინ-

ნაც კი, როდესაც მას პირდაპირი წვლილი არ შეაქვს სახელმწიფოს შემოსავლებში, მაგრამ საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების თანხმობის წახალისების მექანიზმს წარმოადგენს.

ნებაყოფლობითი თანხმობა ყველაზე ეფექტური არის მაშინ, როდესაც გადასახადების გადამხდელებს ექნებათ საგადასახადო ორგანოებისადმი ნდობა და მზად იქნებიან მიაწოდონ მას საჭირო ინფორმაცია. ამასთან არ ექნებათ იმის შიში, რომ სახელმწიფო მათ არაკეთილსინდისიერად მოექცევა და მიწოდებული ინფორმაციას არამართებულად გამოიყენებს. აღნიშნული ნდობის მოსაპოვებლად სახელმწიფო ინსტიტუტებმა და უფრო მეტად საგადასახადო ორგანოებმა უნდა:

- იმოქმედონ პატიოსნად, კეთილსინდისიერად კანონის ფარგლებში;
- გადამხდელების საჭიროებების მიმართ იყოს გულისხმიერი;
- მოახდინოს კანონის სწორად გამოყენება, რათა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და ყველამ სწორი თანხა გადაიხადოს;
- იმოქმედოს გამჭვირვალედ, და მისმა ქმედებებმა კითხვა არ წარმოშვას;
- ჰყავდეს განსწავლული და კომპეტენტური პერსონალი;
- დაიცვას კონფიდენციალურობა, და გადასახადის გადამხდელის მონაცემები შეინახოს უსაფრთხოდ, მისი გამოვლენა მოახდინოს მხოლოდ კანონის შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ. ჩიკვილაძე. „საგადასახადო საქმე“ თბილისი, 2007
- 2) რ. კაკულია, „ფინანსების თეორია“. თბილისი, 2004

- 3) ზ. როგავა, „საგადასახადო სამართლის საფუძვლები“. თბილისი, 2002
- 4) Mof.ge
- 5) Rs.ge

MODERN PRINCIPLES OF TAX ADMINISTRATION

ANZOR ABRALAVA - professor of GTU

a.abralava@gtu.ge

BIDZINA JAVSHANASHVILI - PhD of GTU

becka771@gmail.com

Summary

This paper is about the country's economic growth and the costs (administration, controlling bodies of expenses) to reduce there required political and economic reform, which is the tax payer's interest in the fulfillment of tax obligations voluntarily. The mood of the tax payer's as a result of country's increased income, as well as a significant reduction in costs, which would allow the govern-

ment more resources for Implement social and infrastructure projects. Voluntary fulfillment of tax liabilities of the tax payer's interest in the process of increasing their awareness and convince the truth of the greatest importance that the payments will be spent directly on them, which can be expressed in the protection of the rights, safety, healthcare, social assistance and pensions, etc.